

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის I კვარტლის შესრულების მიმოხილვა

მოგახსენებთ, რომ ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტი ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა 2019 წლის 27 დეკემბრის №25 დადგენილებით. დამტკიცებული ბიუჯეტის შემოსულობები და ხარჯები განსაზღვრული იქნა 13147300 ლარით. რაც შეეხება 2020 წლის I კვარტლის ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გეგმებს შემოსულობებისა და ხარჯების ნაწილში - შეადგინა 6204909 ლარი.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის 2020 წლის I კვარტლის შემოსავლების დაზუსტებული გეგმა იყო 4683214 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4154245 ლარი და გეგმა შესრულდა 89 პროცენტით. მათ შორის შემოსავლების სახეების მიხედვით:

გადასახადების გეგმა იყო 2992077 ლარი, შემოვიდა 2418236 ლარი და გეგმა შესრულდა 81 პროცენტით. სხვა შემოსავლების გეგმა იყო 228550 ლარი, შემოვიდა 272616 ლარი, გეგმის შესრულებამ შეადგინა 119 პროცენტი. ამავე პერიოდში შემოვიდა გრანტები 1463393 ლარი - 100 პროცენტი.

მიმდინარე პერიოდის ნაშთის ცვლილებამ შეადგინა 1521695 ლარი.

მიმდინარე პერიოდის შემოსულობების დაზუსტებულმა გეგმამ ნაშთის ჩათვლით შეადგინა 6204909 ლარი, შესრულებამ შეადგინა 5675939 ლარი და გეგმა შესრულდა 91 პროცენტით.

ლაგოდების მუნიციპალიტეტის 2020 წლის გადასახდელების (ხარჯების) გეგმა იყო 6204909 ლარი, შესრულებამ შეადგინა 4470640 ლარი, გეგმა შესრულდა 72 პროცენტით. ხარჯები გაწეულია ეკონომიით. მათ შორის:


1. ლაგოდების მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 150000 ლარი, შესრულებამ შეადგინა 145186 ლარი და გეგმა შესრულდა 97 პროცენტით.
2. მუნიციპალიტეტის მერიის 2020 წლის ხარჯების დაზუსტებული გეგმა იყო 473800 ლარი, შესრულებამ შეადგინა 397737 ლარი (84%).
3. სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურისთვის გეგმიური 20800 ლარის ნაცვლად გახარჯული იქნა 19566 ლარი და გეგმა შესრულდა 94 პროცენტით.
4. ინფრასტრუქტურის მშენობლობის, რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციისათვის ხარჯები გეგმით გათვალისწინებული იყო 2881844 ლარი, შესრულებამ შეადგინა 2176690 ლარი (76%).
5. დასუფთავებისა და გარემოს დაცვის ხარჯი გეგმით გათვალისწინებული იყო 397073 ლარი, შესრულებამ შეადგინა 216764 ლარი (55%)
6. საგანმანათლებლო ღონისძიებებისათვის ხარჯები განსაზღვრული იქნა 1333225 ლარი, შესრულებამ შეადგინა 999788 ლარი (75%).
7. კულტურის, ახალგაზრდობის და სპორტის ხელშეწყობის ხარჯების გეგმა იყო 274448 ლარი, შესრულებამ შეადგინა 199306 ლარი და გეგმა შესრულდა 73 პროცენტით.
8. ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებებისათვის გეგმით გათვალისწინებული იყო 592665 ლარი, ფაქტიურად გაიხარჯა 268984 ლარი (45%).
9. მუნიციპალიტეტის ვალდებულებების დაფარვას მოხმარდა 45954 ლარი.

10. მერის ბრძანებებით სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი და გახარჯული თანხის ოდენობამ შეადგინა 5900 ლარი.

დეტალური ინფორმაცია მიმდინარე პერიოდის შემოსავლების და გადასახდელების შესახებ თან ერთვის.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის

საფინანსო სამსახურის უფროსი:



/გ. მანგოშვილი/